*<u>პროექტი</u>*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**---სექტემბერი 2019 წელი**

**ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის შესახვევის მონაკვეთისთვის, ზეგანის ჩიხისთვის და ზეგანის შესახვევისთვის ზეგანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის შესახვევის მონაკვეთს, ზეგანის ჩიხს და ზეგანის შესახვევს მიენიჭოს ზეგანის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


ბაღდადის ქუჩა
ბაღდადის ქუჩა
ბაღდადის ქუჩა

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-031925619
თარიღი: 13/09/2019
პინი: 0229

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
**მისამართი:** შარტავას ქ 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს

ბატონ გიორგი ებანოიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი რიგი ქუჩებისთვის არჩილ ბეთანელის, ასპინძის, ბექა ფილფანის, გიორგი ქავთარაძის, ევტიხი ჟვანიას, ირაკლი ციციშვილის, ზეგანის, მარიამ გრიგალაშვილის, მერი გელოვანის, ნოდარ ჯორჯიკიას სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორიები ( ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთი; ასპინძის ქუჩა და ასპინძის I ქუჩა; ასპინძის შესახვევის მონაკვეთი ზეგანის ჩიხი და ზეგანის შესახვევი; ასპინძის II ქუჩა; ბექას ქუჩა; კიკეთში სამპანტების შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩა; 01.14.03.029.005 და 01.14.03.027.016 ს/კოდით რეგისტრირებული სკვერი; ვაჟა-ფშაველას IV კვ. არსებული შიდაკვარტალური გზა; ვაჟა-ფშაველას III კვ. არსებული შიდაკვარტალური გზა) და გამოგვიგზავნოთ გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი: 10 ფურცელი

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელოდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი